საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

20/08/2025

MES 6 25 0000965545

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5- ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 16 მაისის №535392 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება და განახორციელა გარკვეული ცვლილებები კერძოდ:

ა) 1.3 კომპონენტის კლასტერული რეკომენდაცია დაკორექტირდა შემდეგი სახით - "რეკომენებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმები და ანგარიშები." ხოლო, ამავე კომპონენტში ამოიღო შემდეგი კლასტერული რეკომენდაცია - "რეკომენდებულია, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები და აღნიშნული ანგარიშები გაზიარებულ იქნას შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან." თუმცა, აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია არც კომპონენტის და შესაბამისად, არც პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

ბ) 4.4 კომპონენტის ორი კლასტერული რეკომენდაცია გადავიდა რჩევაში - "რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს უნივერსიტეტის შენობის ინფრასტრუქტურა" და "რეკომენდებულია, განხორციელდეს ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის." აღნიშნულ ცვლილებებს არ გამოუწვევია არც კომპონენტის და შესაბამისად, არც მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 06 აგვისტომდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის "ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო" და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 20 აგვისტოს სხდომის №1004447 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები.

კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაერთიანდეს პროგრამის სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს 8 - 10 ძირითადი სწავლის შედეგი პროგრამის მთავარ სწავლის შედეგებზე ორიენტაციით, რაც უზრუნველყოფს მათი მიღწევის ეფექტურ გაზომვას. (1.2)
- რეკომენებულია დაიხვეწოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმები და ანგარიშები. (1.3)
- რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქა ითვალისწინებდეს სწავლის შედეგების შემუშავების მეთოდს და პროგრამის სწავლის შედეგებთან ინდივიდუალური სასწავლო კურსების დონის შესაბამისობას. (1.3)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამების განვითარებას, გააძლიერებს აკადემიური პერსონალის კვლევით შედეგებს და გააღრმავებს საერთაშორისო თანამშრომლობას. (4.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს აკადემიური პერსონალის კვლევითი შედეგების გაუმჯობესებას, მაღალი გავლენის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების წახალისებით და კონკურენტუნარიან კვლევით საგრანტო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობით. (4.1)
- რეკომენდებულია, განახლდეს ბიბლიოთეკა უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემების, ციფრული რესურსების, წიგნების და საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების დამატებით. (4.4)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადადგას კონკრეტული ნაბიჯები შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრული და ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად. (5.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა, პროგრამულ დონეზე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაში და განხორციელებაში. (5.1)
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს უკუკავშირის მიღებისა და გამოკითხვების განხორციელების პრაქტიკები, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის) თანმიმდევრული და არსებითი ჩართულობა

როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე საუნივერსიტეტო სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში. (5.3)

პროგრამის ინდივიდუალური რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ინგლისური ენის კურსები გადანაწილდეს ორ ან მეტ სემესტრზე და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად სწავლება დაიწყოს ცოდნის შესაბამის დონეზე. (1.4)
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი, გაზრდილი კრედიტების რაოდენობით, შეთავაზებული იყოს ბოლო სემესტრში ერთიანი კვლევითი კომპონენტის სახით. (1.4)
- რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს განათლების ფსიქოლოგიის და სწავლების მეთოდიკის კურსები გაზრდილი კრედიტების რაოდენობით. (1.4)

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 06 აგვისტოდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 06 აგვისტო.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე